



3744/3-13/22 2 26042022

3744/3-13/22

26-04-2022

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,  
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

2022 წლის 15 აპრილს საქართველოს მთავრობამ გაასაჯაროვა ევროკომისიის კითხვარი, რომელიც ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადზე მოსაზრების მოსამზადებლად 2022 წლის 11 აპრილს გადმოეცა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

- ა) კითხვარის შევსების რა ეტაპზეა საქართველოს მთავრობა?
- ბ) გახდება თუ არა საქართველოს მოქალაქეებისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი მთავრობის მიერ შევსებული კითხვარი?
- გ) წარმოადგენთ თუ არა შევსებულ კითხვარს საქართველოს პარლამენტში, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს?

პარლამენტის წევრი  
ანა ბუჩუკური